

# მუშა

|            | 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ.      |
|------------|------|------|------|-----------|
|            | მ.   | მ.   | მ.   | მ.        |
| თბილისში.  | 5    | 2    | 50   | 1 25 — 50 |
| თბილ. გარ. | 6    | 3    | —    | 2 50 — 60 |
| საზღ. გარ. | 10   | 5    | —    | 3 — 1 —   |

შ ი ნ ა რ ს ი:

1) წერილები ბრძოლაში. 2) ფელეტონი: ზე-  
ციური შთაბრძოლა და მისი კაცობრივობა. 3)  
თელაველი მუშების საყურადღებო. 4) ახალი  
ბები. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) დეკემბერი.

რედაქცია ღიაა (უქმებს გარდა) დღის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

აღრესი: თავდაზნაურობის სახლი, სასახლის ქ. № 117.

№ 16

შაბათი 24 ივნისი 1906 წ. თბილისი

№ 16

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყვე-  
ლა ამხანაგებს, თანამოაზრეებს და  
იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის  
მიმართულებას, გაუწიოს ენერგიუ-  
ლი დახმარება: ეკონომიური და იდე-  
იური კოპერაცია გაზეთის გამოცე-  
მის საქმეს: საღამოების გამართვით,  
სპექტაკლების დადგმით, ხელის მო-  
წერის გამართვით, და რეფერატე-  
ბით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ  
ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის  
გავრცელებას, მოგვწოდონ წერი-  
ლები და კორესპონდენციები.

**მთავრით ჩვენ აგებდნენ პრო-  
ვინციებში ფულადი ყოველ  
შაბათობით გამოგზავნენ თუ  
საბო, რომ შემდგომისთვისაც  
მიიღონ გაზეთი**

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ  
ჩვენი გაზეთის პატარა კოლონიები  
მუშის, მწარმოებლის მიერ გამო-  
ცხადებულ პროტესტს მწავრვლთა  
წინააღმდეგ და ამით ხელი შევე-  
წყით მუშების დიად ბრძოლას სა-  
ხელმწიფოსა და კაპიტალის წინააღ-  
მდეგ.

## წერილები ბრძოლაში

მხედველთა საყურადღებო

Собака, что леший?  
Волков, пугаю.

ყველა რადიკალური, დემოკრა-  
ტიული, ლიბერალური და სოციალ-  
დემოკრატიული პროგრამების დაბ-  
ლოებით შესდგება: ისეთი კანონე-  
ბის გაუქმებაში, რომლებიც ისედაც  
თვით გაბატონებული კლასისთვის,  
ბურჟუაზიისთვის მეტ ბარგათ გამო-  
დარა; სიკვდილის დასჯის კანონის  
გაუქმებაში; ყოველივე „დანაშაუ-  
ლობათთვის“ ნაფიცი მსაჯულთა ინ-  
სტიტუტის დაარსებაში; აღმინისტ-  
რატული და სამაგისტრატურო პი-  
რების არჩევაში; სახელმწიფო მო-  
ხელთა სამართალში მიცემის უფ-  
ლებებში; რევოლუციური, მუდმივი  
მხედრობის მოსპობაში, სიტყვის თა-  
ვისუფლების უფლებებში; წერის თა-

ვისუფალ უფლებებში; თავისუფალ  
სწავლების უფლებებში; კრების თა-  
ვისუფლებებში; კომუნისში, საზოგა-  
დოებრივი მფლობელობა, რომლე-  
ბიც სწავს სოც.-დემოკრატიასაც ისე  
როგორც ჩვენ.

ვიკითხოთ, ესლა ყველა ეს მუხ-  
ლები და თავისუფლებანი სოც.-დემო-  
კრატიის ან სხვა რომელიმე პარ-  
ტიის ახალი გამოგონებაა, თუ ძვე-  
ლია არსებობდნენ?

როდესაც გაბატონებული კლას-  
ის ან დღევანდელი ან ბურჟუა-  
ზია სპობს ისეთი კანონს, რომე-  
ლიც თვით მისთვის მეტ ბარგათ  
გახდარა და რომლის მოსპობაშიც  
თავის სულ მეტ დახმარებას სოც.-  
დემოკრატია უწევს, მაშინ არც ბურ-  
ჟუაზია და არც მისი მატარებელი,  
უსარგებლო დახმარებელი, სოც.-დემო-  
კრატია არაფერს ახალს არ აკეთე-  
ბენ; ეს ჩვეულება არ ახალია ძვე-  
ლია; მაშასადამე სოც.-დემოკრატიუ-  
ლი ლოლიკით თვით სოციალ-დემო-  
კრატებმა რეაქციონერებმა.

წარმომადგენლობითი სისტემა  
რომლისთვისაც ბურჟუაზია და ს.-  
დემოკრატია იბრძვიან (ვინ იბრძვის  
პარლამენტარისთვისთვის დღეს, თუ  
არა ბურჟუაზია და სოც.-დემოკრატია),  
არ ახალია, ძველია; ის არსებობდა  
ძველ კლასიკურ ხალხებში. მაშა-  
სადამე სოც.-დემოკრატიული ლო-  
ლიკით სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

სიკვდილით დასჯა მოსპობილია  
ველეზრად წოდებულ ხალხში, ტო-  
დასებში და სხვებში. ეს ამბავიც აგ-  
რეთვე არ ახალია ძველია. მაშა-  
სადამე სოც.-დემოკრატიული ლოლი-  
კით სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

ნაფიცი მსაჯულები ბევრად უფ-  
რო ლიბერალური ვინემ დღევან-  
დელი ნაფიცი მსაჯულები არსებო-  
ბენ მე-XX საუკუნეში. ეს ამბავიც  
არ ახალია ძველია. მაშასადამე სოც.-  
დემოკრატიული ლოლიკით თვით  
სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

აღმინისტრაციის და მაგისტრა-  
ტურას კლასიკური ნაიციები ძველ  
საუკუნოებში ირჩევდნენ. ეს ამბავიც  
არ ახალია ძველია. მაშასადამე სოც.-  
დემოკრატიული ლოლიკით თვით  
სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

სახელმწიფო მოხელეთა სამარ-  
თალში მიცემის უფლება არსე-

ბობდა ინაში არსტიდის დროს და  
რომში ძველ საუკუნოებში. ეს ამ-  
ბავიც ძველია. მაშასადამე სოც.-  
დემოკრატიული ლოლიკით თვით  
სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

მუდმივი ჯარი არ იყო და სა-  
ხალხო მილიცია არსებობდა ჯერ  
კიდევ მაშინ, როდესაც სოც.-დემო-  
კრატიის ქაქანებაც კი არ იყო.  
ესეც ახალი ამბავია დროში  
გაგონილი. მაშასადამე სოც.-დემო-  
კრატიული ლოლიკით თვით სოც.-  
დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

წერის თავისუფლება, რეაქციონე-  
რია. რეაქციონერებს, კარგა  
ხანია არსებობდა თვითმპყრობელ  
რუსეთში და კიდევ უფრო ადრე  
ბურჟუაზიამ განხორციელა სხვაგან  
ესეც იგივე ძველი ძველი ბლადივი  
და მსგავსი ყივილია. მაშასადამე  
მე სოც.-დემოკრატიული ლოლიკით  
თვით სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

სიტყვის, აზროვნების და კრების  
თავისუფლება არსებობდა ძველ სა-  
ბერძნეთში და რომის რესპუბლი-  
კაში. ესეც მსგავსი მუსაფი და  
იგივე გალობაა. მაშასადამე სოც.-  
დემოკრატიული ლოლიკით თვით  
სოც.-დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

საყოველთაო, პირდაპირი არჩე-  
ვანი და კანონმდებლობა არსებობ-  
და და არსებობს ევლურებში მაშინ,  
როდესაც ერთი მარქსის კნუტიც  
კი არ იყო ქვეყანაზე, ესეც ძველი  
დახმარებული ტანისაცმელია, რომ-  
ელიც სოც.-დემოკრატიის ჩამოუ-  
ფხატავს თავის უზნო ტანზე  
ბრდღინავს და თავი ლომად მო-  
აქვს, მაგრამ ჩვენ კი ლომის ხმის  
მაგიერად კრილოვის ბუღბუღლის  
მსაჯულის ხმა გვესმის. ამ გვარი  
ლიალი ხმ მთლად პირუტ-  
ყველში (იხილე სოციალოგია სა-  
დაც მოთხრობილია მაიმუნებისაგან  
უფროსის, წინამძღოლის ამოჩვენება).  
მაშასადამე სოც.-დემოკრატიული  
ლოლიკით სოც.-დემოკრატია რეაქ-  
ციონე-  
რია.

საწარმოვო იარაღების და წარ-  
მოების განსაზოგადოებრივობა არა  
თუ პირველყოფილ ადამიანთა შო-  
რის ცხოველებშიც კი არის: კიან-  
ქველებში, ფურტებში და ცხოვე-  
ლებში. ესეც პირუტყველია, თვით  
ადამიანზე ძველი, მაშასადამე სოც.-

დემოკრატიის ლოლიკით თვით სოც.-  
დემოკრატია რეაქციონე-  
რია.

ამ გვარია სოც.-დემოკრატიული  
დამტყვევლ ლოლიკის ჯლაფენი.

ამ გვარია ბედი მათი ლოლიკისა.  
ამ გვარია ბედი მათი დილაქტიკა-  
სა, რომელიც არსებობდა არ არსე-  
ბობდა, რომელიც თავს თვით იკლავს,  
ასეთია ბედი ლომისი, რომე-  
ლიც, როგორც კალმის ნამდვილი  
დონ კიხოტი „კანონის“ მაგიერ ეცა  
საწყალ მეტაფიზიკას, (აღმათ იმ  
იმედით, რომ არავინ დაიცავს) და  
სულ ბღღვირი გადინდა. თავის და-  
ცვის პრინციპით ყველაფერი არსე-  
ბობისათვის ბრძოლაში თავს იცავს  
ქინქლა, კოლოც და ინფუზორია,  
ბუნებრივია ამიტომ ლეოს თავის  
დაცვაც. თავის დაცვის მეთოდიც  
კარგი აქვს: я того, а ты того.

კარგი მეთოდი აქვს. მხოლოდ  
დილაქტიკა, როგორც აბსოლიუ-  
ტური უარის ყოფის უარის ყოფა  
თავის თავს უარყოფს, როგორც  
აბსოლიუტური მოძრაობა მაინც  
აბსოლიუტია, ე. ი. ყოველივე მო-  
ძრაობის უარის ყოფა სრული უმო-  
ძრაობაა. Дилектика это переи-  
вание изъ пустого научнаго жъ-  
шка въ пустую же философскую  
рагожку.

თუ შეუდგენი გაბათილებას იმ სი-  
სულელისა, რომელსაც ბავშვი ნახევ-  
რი საათის ლაპარაკში, მოასწრობს  
უქვევლია ვერც სამ წელიწადს მოა-  
გზნებენ ამას. ლეოს პასუხს ნობათში  
ხვსკემენ ამხანაგებში, აქ მხოლოდ  
იმას ვიცით, რომ დილაქტიკა  
თავის მკვლელობის თეორიაა ყო-  
ველთვის და ყოველგან, რა სფერაც  
უნდა იყოს და არა ევოლიუტია.  
ამ ორ თეორიას შორის დიდი ზე-  
რია. თუ არ იცის ლეომ პლენ-  
ნოვს ჰეიხოს. სოც.-დემოკრატიუ-  
ლი ლოლიკა თავის თავის გამათრა-  
ხება.

თუ არ სჯერა ლეოს ჰეიხოს ისევ  
ლეოს და მის ქუთაისელ პროტეს-  
ტანტს (\*) გელეიშვილს. თვით ლე-

\*) რაც შეეხება გელეიშვილს და 21  
მუშას უნდა მოგახსენოთ. რომ ვაკაცების  
21 კი არა, მილიონიც რომ იყოს, არ  
გვეშინია, შემპარავის კი, ვინ იცის,  
მოსწრობა, მაგრამ ჩვენი უფროსი ძიებ-  
ისიზმრადაც ვერ წარმოადგენს ისეთი  
იქნება.



კები და მარსისტები ხომ არიან და არიან რაღა, იდეების კოლოფები კარგია მაინც, რომ თქვენ ძლიერ კულტურის და სალონის ხალხი ბრძანებულხართ, რომ ქუჩური არაფერი გრწამთ. იმედია ჯაშუშს არ დაუბახებთ და უსინდისოს უსინდისოს. ჩვენ კი ვამდებთ ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი გამოვუქმებოთ და ვუწოდოთ. ჩვენთვის არაფერი წმინდა არ არსებობს გარდა თავისუფლებისა და თავისუფალი ქვეყნარტებისა და სამართლისა, დეე, გქონდეს თქვენ პატივისცემა არა თავისუფლებისა და ქვეყნარტებისა უმთავრესად, არამედ პარტიათა, გაბატონებულ ჩვეულებათა. ჩვენ მართლა რომ ვლანძღვთ და მართლა უშუალოდ ყველაფერს უშვებს, ე. ი. ყველაფერი გაბატონებულს, საბუთი მოკლე და მაღალია: ის რომ ყველაფერი გაბატონებული თავის თავად უშვებია.

ამბობთ, რომ თქვენც მსგავსად სხვებისა არ მისცემთ ნებას თქვენი სახელით და სხვა-და-სხვა. ერთი მიზანძნე, ნუ თუ თქვენ ვერ შეიტყუეთ, რომ ჩვენ ნებას არ ვთხოვლობთ, ჩვენ ვიბრძვი, იმისათვის ჩვენი სახელით. ერთი მიზანძნე რა სახელია თქვენი სახელი? თუ ამბობთ, რომ თქვენ მუშები ხართ, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ეს სახელი თქვენი სახელი არ არის, რადგან სიტყვა მუშა არის ის

სწარმოებს ინდივიდუალურ ცხოვრების სივრცეზე—მეორე კაცობრიობის ცხოვრების სივრცეზე. თუ ველოდებით ჯირკას ან ქვას ფეხი და ბავშვმა მაგიდას შეჭრა თავი ველოდით ქვას და ან ჯირკას და ბავშვი მაგიდას ისე მოექცევიან, როგორც ცოცხალ მათსავეთ ავის მოსურნე არსებას. ველოდეს უკუარს ჩადილი და მასხა-დამე ხის ფოთლებიანი შტოებიც, რომელსაც მისთვის კარგი სურს. როდესაც ველოდს მუცელი სტიკია ეს იმას ნიშნავს, რომ „მეტრია“ ამოიხვევს მას ამგვარ უბედურებას ბუნების ყველა მოვლენები მისთვის არ კატეგორიით არიან დაყოფილი ზღა და ბორბლები: ყოველი თავისი შთაბეჭდილება ორ რიგით არიან დალაგებული ისინი ამოვით და უსიამოვნოდ. ამ ნიადაგზე იზადება ანიმიზმი ანუ ანტროპომორფიზმი, რაც იგივეა. ანიმიზმი გავრცელებულია, როგორც ცხოველებში, ისე ბავშვებში და ველოდებში: ყველა ესენი უფრობის სამეფოში, მიზეზობრივობის შეუცნებლობაში, დასახლებული არიან ერთი მეორესთან. ველოდური იმეგავრად, როგორც ბავშვი ადვილად გამოჰყავს მოთმინებიდან უსულო საგნის თვისებას, სულ უშიშვნელო რამეს, რომელიც დიდი ადამიანის თვალში ძლიერ სასაცილოა, რადგან მათთვის ცხადია კამეირი, დამოკიდებულება მიზეზს

რასაც გრამმატიკაში საზოგადო სახელი (паршательное) ჰქვია და თქვენ კი გინდათ საკუთარ სახელად (имя собственное) გადაქცეოთ. ამ ლოლიკით თუ იარეთ, მაშინ კაცის სახელსაც დაისაკუთრებთ და დანარჩენ ადამიანებს ძალღებთ ჩათვლით. ჩვენ ამგვარ სახელარზე არ შეგვადებთ, თქვენ კი მოგისურვებთ შესკუპება ამგვარ სახელარზე სოც. დემოკრატიათან ერთად იმ სოც. დემოკრატიათან, რომელიც შესკუპდა კერძო მესაკუთრის ვირზე: დაისაკუთრა ხალხი, პროლეტარიატი, ფილოსოფია და სხვა.

უზარმაზარია, უშველებელია, საკვირველია, როდესაც თქვენ, როგორც მუშები, იდეური ბრძოლაზე ლაპარაკობთ. ილაპარაკეთ. გაგიგონათ ოსმანა მომკდარავო, ეს ჩვენ შაბლონურ ინტელიგენტების შაბლონური აზრი და იმეორებთ და იმეორებთ. ერთი დაუკვირდით რას იმეორებთ, იქნება სისულელე იყოს, ჰქვია და ნასწავლ კაცად ცნობილისაგან გამოგონილი. რამოდენი ქუთიანი სულელურს ამბობს და ნასწავლი უფიცობას, ნეტავი იცოდეთ! თქვენი იდეური ბრძოლა პარტიით შორის ნამდვილი პარლამენტარიზმია პარტიათა შორის, ჩვენ პარლამენტარიზმს უარაგოფთ: არ შეიძლება იდეური ბრძოლა, თუ მოქმედებით ბრძოლაც არ ახლავს თან. რა საჭიროაა წინააღმდეგი აზ-

რად შედეგს შორის. მაგრამ რაი მეორე, ამგვარი სულელური შეხედულება, დამოკიდებულება ბუნებრივ მოვლენების ურთიერთობათა შორის, გარეშე ქვეყნის ცხოვრების შემედარი წარმოდგენა დღესაც სასოებით არის დაცული სარწმუნოების ერთგულ მსახურთაგან და მათ მოკავშირეთაგან მორალში და სარწმუნოების ისტორიაში.

მათი უსუსური ტვინი ვერ ერევა და ვერ იგნებს იმ მიზეზებს, რომლებიც წარმოშობენ მრავალ შედეგებს ცხოვრებაში, მეცნიერება ისეთი სფეროა, რომელიც თავის დაუწყებელ დასაწყისში წერტილი იყო, წერტილი, რომელიც კაცთან ერთად გაიზარდა და გადაიქცა სფეროდ; მაგრამ მისი სინათლის სხივები ანათებენ მხოლოდ უახლოეს გორიზონტს. საწყალი პირველ ყოფილი კაცუნა გრძნობს მოვლენების ურთიერთობათა ახსნის მოთხოვნილებას და რადგან მისი ტვინი უძლურია, ამიტომ ის ემორჩილება თავის გონების ბუნებას, რომელიც მიისწრაფვის ნაკლები დაბრკოლებისკენ: ის ხედავს, რომ ყველაფერი მოჰყავს მოძრაობაში ვადაცას, მასვეთ სულიერს, რომლის სხეულს ის ვერ ხედავს. ბუნება მისთვის დასახლებულია უსხეულო „სულელებით“, რომლებიც ან ემტერებიან, ან იფარავენ მას. ყველა ხეში ის ხედავს დრიადას,

რის გამოთქმა, თუ მის განხორციელებას არ ეცდებით.

ილაპარაკეთ, ბუნებო! ილაპარაკეთ, სანამ უმოქმედობამ სული არ ამოგართვის.

ამას გარდა ნუ თუ ის ვერ უნდა მიხედვს ადამიანმა თავის თავად, ისიც ჩვენ დროში, რომ, როდესაც ვინმეს კიცხავთ და ამ კიცხვას ასახულებთ, ეს იდეური ბრძოლაა; როდესაც ლანძღვთ კაცს და მის შელანძღულ ბუნებას ააშკარავებთ ესეც იდეური ბრძოლაა.

იქნება თქვენ გასურდეს სიმყარეს არომატი დაარქვათ. დაარქვით, თქვენი ნება, ჩვენ კი მის წინააღმდეგ დეზინფექციურ საშუალებებს მივმართავთ.

რაც შეეხება თქვენ თხოვნას მეხუთე პარაგრაფის თაობაზე იხილეთ გზ. „მუშა“ კ. ილინის ფელეტონები №№ 9. 13., რომელიც რამოდენიმე შეხება აგრეთვე მეფერმეტე პარაგრაფში გამოთქმულ პოლოგისტობას. დანარჩენი იქ ისეთი არაფერია გამოთქმული, უმეტეს ნაწილი რომელიც დასაბუთებული არ იყოს დანარჩენებსაც ჩვენ გავთვით გამოვარკვევთ თანდათან.

ყველა წყლის პირში ის ხედავს ნიადარს ყველაფრის უკან და ყველაფერში ის ხედავს „სულს“, ფეტონს.

რამე უცნაური ვითარება ადამიანის გონებაში იწვევს წარმოდგენას „სასწაულზე“, რის გამო ხშირად ყოველდღიურ უშიშვნელო რამეს პირველყოფილ ადამიანის გონებაში და მის წარმოდგენათა გაოსში. ეძლევა დიდი მნიშვნელობა. ნამდვილი ან მისი ოცნებით შექმნილი საგნები, რომლებიც მის სათაყვანებელ საგნებად—ფეტონებად—გამხდარან დალაგებული არიან თავიანთ ბოროტების ან სიკეთის ხარისხების დავაზად და შეადგენენ იერარქიას სულებისას ღმერთებისას—ფეტონების ღმერთებისა წმიდა არქიას ამ გვარად ზოგი ველოდური მხეცები და ზოგი შინაური მხეცები წარმოადგენენ ფეტონებს. ამას გარდა არა ჩვეულებრივი პირები, ექიმები, ქურუმები, ღონიერი და მოხერხებული მეომრები შეიქმნებიან აგრეთვე ფეტონებათ და ღმერთებათ. ღმერთების თვლებიან აგრეთვე მღინაარები, ხეები, მთები, ოკეანე, ცა და არის უდიდესი ღმერთი, ის ცა, რომელიც შეიცავს თვით დედა-მამასაც კი; ის არის ღვთაებრივი დიდი პიროვნება, რომლისკენაც უნდა ვაპყრობდეთ თვალს, რომელსაც უნდა ვეთაყვა-

## ახალი ამბავი

— 22 ივნისს მინგრელსკი პოლკის 27 ჯარის კაცის სამხედრო სამართლოში საქმის გარჩევის დაწყების გამო, მთელს ქალაქში გაფიცვა იყო. დაწყებულდებში საქმის წარმოება შესწყდა. ღუქნები და მალაზიები დაკეტილი იყო, კონკა და მატარებელი არ მიდმოდიოდა. მეეტლეები არსადა ჩანდნენ. ერთის სიტყვით ქალაქს დიდიდან გლოვის ფერი ედვა. ჩვეულებრივით სასიერნოთ გამოსული ხალხი აღარსად ჩნდა. სამაგიეროთ სატუსალოდან სასამართლოში მიმავალს ჯარის კაცებს ხალხი აღფრთოვანებული ეგებებოდა. უზღოდენ ქულებს უსურვებდნენ გამარჯვებას და უძახდნენ „ურას“. აგრეთვე აღფრთოვანებული უბასუხებდნენ ჯარის კაცებს, რომელთაც არ ეტყობოდათ, რომ ისინი სამხედრო სასამართლოში მიდიოდნენ. გზაში სარეგულირებო სიმღერებს მღეროდნენ. მთელს დღეს ქალაქში ჯარები მიდი-მოდიოდნენ. ბლომათ იდგენ ჯარები ხილზე ვერის და ვარანცვისაზე. აღექსანდროვის ბაღში პულემიოტები იდგა. სასახლის წინ

ნოთ ხელების აპყრობით ლოცვების მიმართებით—ის უდიდესი მოვლენაა ბუნებაში ის ყველაზე ზვეთიარის, მიუწოდმელია, განუსაზღვრელია. ის ყველა ფეტონებზე და ღმერთებზე ზვეთი ღმერთს, ის ფეტონებზე და ღმერთებზეა იერარქიის—წმიდა არქიის—სათავე.

ამ გვარად სწარმოებს აღსავლობა ღვთაებრივობის კიბის საფეხურზე ის სულიერი მდგომარეობა, რომლითაც ბუნებრივ მოვლენების უკან უსხეულო „სული“ იმალება; იმოდენად ვითარდება, რომ თითქმის ყველა ბუნებრივ მოვლენათა და საგათა უკან იგულისხმება „სული“ რომელიც მას წარმოშობს, დედამიწის სულებს მიემატება ყველა გადაცვლილთა სულები ნატურიზმი გადაიქცევა ანიმიზმად ბუნების მომქმედ ძალების მეფეებით. ყველაფერი რაც კი არსებობს ცოცხალია, ყველაფერს სურვილი აქვს, ყველაფერი სულიერია—ბუნება სულდგმულია. თითქმის ყველა ენებში არსებობენ მამრობითი და დედრობითი სქესი, მამალი და დედალი, ОНЪ И ОНА \*), რაც იმის მომასწავებელია, რომ ყველაფერი საგანს სქესი აქვს, ე. ი. ყველაფერი ცოცხალი არსებაა.

\*) მას მთელური. შედარებითი მიოლოგიის ცდა.

(5-1) რედაქტორ-გამომცემი იმედიო მ. სალმეშვიძე